

2020-2021 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების
ანგარიში

მიზანი 1. შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

ამოცანა 1.1. ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდა

კოლეჯ პანაცეაში ფართის დამატების გამო, შეირჩა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საექთნო საქმე. კოლეჯის ადმინისტრაციულ საბჭოზე მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საექთნო საქმე, პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის საკითხის განხილვა. კოლეჯის მიერ მოხდა განაცხადის შეტანა განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საექთნო საქმე. 2021 წლის 20 აპრილს განხორციელდა განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ გამოგზავნილ ექსპერტებთან გასაუბრება (დისტანციურ რეჟიმში).

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით კოლეჯს მიენიჭა უფლება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე საექთნო საქმე პროფესიულ სტუდენტთა (100 პროფესიული სტუდენტი) ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ (ჯამში 475 პროფესიული სტუდენტი), რადგან კოლეჯში სარემონტო სამუშაოები ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული დამატებით ფართში ექსპერტების ვიზიტის დროს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით ჩაინიშნა მონიტორინგი 2021 წლის 10 სექტემბრიდან.

მტკიცებულებები - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება (MES 7 21 0000576704 15.06.2021).

პასუხისმგებელი პირი - დირექტორის მოადგილე.

თანაშემსრულებელი - დირექტორი, ხუს, სპმს, სუს, იკს, ფს, სმ, ბიბლიოთეკარი.

შესრულების შედეგი - ნაწილობრივ შესრულებულია.

ამოცანა 1.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტური მართვა თანამედროვე სწავლა/სწავლების მეთოდები და ფორმები

დისტანციური სწავლებისას კოლეჯი იყენებს ელექტრონულ პლატფორმას (ZOOM.US). სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ განხორციელდა მოდულებზე დასწრება/დაკვირვება, შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით: დისტანციური სწავლებისას ელექტრონული პლატფორმის გამოყენება.

2021 წლის მაისის თვეში დასრულდა შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:
ა) პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა-პრაქტიკოსი ექთან (საგნობრივი). კურსდამთვრებულებს მიენიჭათ კვალიფიკაცია.

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „სტომატოლოგიური საქმის“ საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - კბილის სატექნიკო საქმე. კურსდამთავრებულებმა ჩააბარეს საკვალიფიკაციო გამოცდა და მიენიჭათ კვალიფიკაცია. 2021 წლის ივნისში დასრულდა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - პრაქტიკოსი ექთანი. კურსდამთავრებულებს მიენიჭათ კვალიფიკაცია. 2020/21 სასწავლო წელს უწყებათაშორისი საბჭოს გადაწყვეტილებით, პროფესიულ კოლეჯებში, რამოდენიმეჯერ შეჩერდა სასწავლო პროცესის (როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული კომპონენტი) განხორციელება. აღნიშნულმა ვითარებამ კოლეჯში გამოიწვია სასწავლო გეგმების და ცხრილების კორექტირება, მოდულების გადანაცვლება/ჩანაცვლება, სასწავლო პროცესის გახანგრძლივება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში შევიდა ცვლილებები. კერძოდ, გადაიწია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების ვადები.

მტკიცებულებები - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ანგარიში.

პასუხისმგებელი პირი - სპმს- ის ხელმძღვანელი.

თანაშემსრულებელი - დირექტორი, ქსა.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

ამოცანა 1.3. შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების დამატება

კოლეჯის მიერ შეირჩა პროფესიული მომზადების პროგრამები: შინმოვლა, ვიდეო ოპერატორი, კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა. პროფესიული გადამზადების პროგრამა: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობა.

კოლეჯის ადმინისტრაციულ საბჭოზე მოხდა განხილვა პროფესიული გადამზადების პროგრამის (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობა) დამატების შესახებ.

კოლეჯის მიერ მოხდა განაცხადის შეტანა პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების თაობაზე (პროფესიული გადამზადების პროგრამა - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობა). პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილებით კოლეჯს მიენიჭა პროფესიული გადამზადების პროგრამის „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობა“ განხორციელების უფლება.

მტკიცებულებები - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილება (MES 6 21 0000849386 02.09.2021).

პასუხისმგებელი პირი - დირექტორის მოადგილე.

თანაშემსრულებელი - დირექტორი, ხუს, სპმს, იკს, სუს.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

მიზანი 2. ინფრასტრუქტურისა და პროფესიული სტუდენტური სერვისების განვითარება

ამოცანა 2.1. ინფრასტრუქტურის მოწყობა/განახლება სტანდარტების შესაბამისად (მათ შორის სსსმ პირებისთვის)

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - საექტონო საქმე, ფარმაცია (სააფთიაქო), კბილის სატექნიკო საქმე, ინფორმაციის ტექნოლოგიების მხარდაჭერა - სასწავლო აუდიტორიების/დარგობრივი ლაბორატორიების შეფასება (ტექნიკური აღჭურვილობა, მასალა/ნედლეული). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია(სააფთიაქო) პრაქტიკული კომპონენტი, ხორციელდება კოლეჯის C ტიპის სასწავლო გარემოში (ფარმაცევტულ ლაბორატორიაში), რომელიც მოწყობილია მოდულური პროგრამით/მოდულების მატერიალური აღჭურვილობის ჩანაწერების შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია(სააფთიაქო) -ს პროგრამის ხელმძღვანელმა, შესაბამისი წესების დაცვით, 2021 წლის 30 აპრილს მოითხოვა კოლეჯის მიერ შესყიდული ქიმიური ნივთიერებები და რეაქტივები C გარემოს შევსების მიზნით, პროფესიული სტუდენტებისათვის პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად.

2021 წლის ივნისის თვეში დასრულდა ნაგებობა N2-ის მეორე სართულის 534,15 კვ.მ. ფართის სარემონტო სამუშაოები. აღნიშნულ ფართში არის 7 გარემო - A, რომელიც აღჭურვილია სასწავლო მატერიალური რესურსით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისათვის - საექტონო საქმე.

მტკიცებულებები - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ანგარიში; შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას მეორე სართულის 534,15 კვ.მ. ფართის სარემონტო სამუშაოების (შესაბამისობის) ჩატარების გეგმა.

პასუხისმგებელი პირი - დირექტორი.

თანაშემსრულებელი - ხუს, სპმს, ფს, სმ, შუს.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

ამოცანა 2.2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

2021 წლის 12 მარტს ქსელებისა და სისტემების ადმინისტრატორის მიერ, მოხდა კოლეჯ პანაცეას ორ სასწავლო კორპუსში - ნაგებობა N1 (მეორე და მესამე სართული) და ნაგებობა N2 (მესამე სართული) IT -ის ინფრასტრუქტურის ქსელებისა და სისტემების შეფასების გეგმიური შემოწმება.

2021 წლის 4 სექტემბერს ქსელებისა და სისტემების ადმინისტრატორის მიერ, განხორციელდა კოლეჯ პანაცეას ორ სასწავლო კორპუსში - ნაგებობა N1 (მეორე და მესამე სართული) და ნაგებობა N2-ის (მეორე და მესამე სართული) IT ინფრასტრუქტურის ქსელებისა და სისტემების შეფასების გეგმიური შემოწმება. შეძენილია სასწავლო მიზნებისთვის 24 ცალი ნოუტბუქი და 1 ცალი კომპიუტერი.

მტკიცებულებები - შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას ქსელებისა და სისტემების ადმინისტრატორის ანგარიში; შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას ფინანსური სამსახურის ანგარიში.

პასუხისმგებელი პირი - დირექტორი, ქსელებისა და სისტემების ადმინისტრატორი.

თანაშემსრულებელი - სპმს, ფს, სმ.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

ამოცანა 2.3. საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად ბიბლიოთეკის ფონდის შევსება/განახლება

გადაიხედა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში მოდულების მიხედვით მითითებული საგანმანათლებლო რესურსი. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ ცვლილება განხორციელდა მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საექტონო საქმის მოდულებში და ბიბლიოთეკარის მიერ მოხდა საგანმანათლებლო რესურსის დამატება.

მტკიცებულებები - შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას ბიბლიოთეკარის მოხსენება.

პასუხისმგებელი პირი - ბიბლიოთეკარი.

თანაშემსრულებელი - დირექტორი, სპმს, ფს.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

ამოცანა 2.4. პროფესიული სტუდენტების წარმომადგენლობითი საბჭოს ინიციატივების მხარდაჭერა

2020 წლის 10 ნოემბერს ონლაინ რეჟიმში ჩატარდა საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა.

განხილული იყო საკითხები:

1. კოლეჯში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი.
2. ახალი კორონავირუსის (Covid-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით კოლეჯში მოქმედი რეგულაციების/ღონისძიებების და საგანგებო სიტუაციების დროს უსაფრთხოების ზოგადი წესების და მოქმედების შესახებ ცოდნის აუცილებლობა.

2020 წლის 21 დეკემბერს ონლაინ რეჟიმში ჩატარდა საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა.

განხილული იყო საკითხები:

1. დაწესებულებაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის განხილვა.
2. „ვიბრიდული“ სწავლა-სწავლების ახალი ფორმა.

2021 წლის 10 მარტს ონლაინ რეჟიმში ჩატარდა საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა.

განხილული იყო საკითხები:

1. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება და დასრულებული მოდულების შედეგების დადასტურების პროცესი კოლეჯში.
2. ინსტრუქტაჟი სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე.

2021 წლის 15 მარტს ზუმის პლატფორმის გამოყენებით ჩატარდა საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია - დარგის სპეციალისტებთან შეხვედრის შესახებ.

2021 წლის 17 მარტს შედგა შეხვედრა დარგის წარმომადგენლებთან. შეხვედრას უძღვებოდნენ გ.ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის მთავარი ექთანი, საქართველოს ექთანთა ასოციაციის პრეზიდენტი ქეთევან გარსევანიშვილი და ამავე ცენტრის ხარისხის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი თეონა გორგაძე. შეხვედრაზე ისაუბრეს საექთნო განათლების ისტორიასა და ექთნის პროფესიის მნიშვნელობაზე.

შეხვედრაზე პროფესიულ სტუდენტებს გადაეცათ „გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიების მქონე პაციენტების საექთნო მოვლის“ სახელმძღვანელოები.

2021 წლის 10 ივლისს საზოგადოებრივმა კოლეჯმა პანაცეამ და არასამთავრობო ორგანიზაციამ „ნაბიჯ-ნაბიჯ Step by Step“ ჩაატარა ერთობლივი ღონისძიება სახელწოდებით „ჩვენ ერთად ვართ“.

მტკიცებულებები -შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი N4. 10.11.2020 წელი; შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი N 5. 21.12.2020 წელი; შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი N6. 10.03.2021 წელი; შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი N7. 15.03.2021 წელი; შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მოხსენება; შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას ვებგვერდი www.panacea.edu.ge.

პასუხისმგებელი პირი - დირექტორის მოადგილე, სუს-ის ხელმძღვანელი.

თანაშემსრულებელი - დირექტორი, სპმს, ფს.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

ამოცანა 2.5. უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა

2021 წლის 12 მარტს კოლეჯში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ განხორციელდა ორივე სასწავლო კორპუსის - ნაგებობა N1 მეორე და მესამე სართულის და ნაგებობა N2 მესამე სართულის კონტროლი შრომის უსაფრთხოების სფეროს საკითხების სწორად დაცვასა და განხორციელებაში.

2020 წლის 13 ნოემბერს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტმა, პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარა ონლაინ ტრენინგი უსაფრთხოების ზოგადი წესებისა და საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედების შესახებ. გააცნო ინფორმაცია ახალი კორონა ვირუსის (Covid – 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით კოლეჯში მოქმედი რეგულაციების ღონისძიებების შესახებ.

2021 წლის 13 მარტს კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ კოლეჯის ადმინისტრაციას, პროფესიულ მასწავლებლებს და პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე.

2021 წლის 4 სექტემბერს კოლეჯში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ განხორციელდა ორ სასწავლო კორპუსში -ნაგებობა N1 მეორე და მესამე სართულის, ნაგებობა N2-ის მეორე და მესამე სართულის კონტროლი შრომის უსაფრთხოების სფეროს საკითხების სწორად დაცვასა და განხორციელებაში.

მტკიცებულებები - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი N4. 10.11.2020 წელი; შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი N6. 10.03.2021 წელი; შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მოხსენება; შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ვებგვერდი www.panacea.edu.ge; შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ანგარიში.

პასუხისმგებელი პირი - შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

თანაშემსრულებელი - დირექტორი, სპმს, სუს, სმ.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

ამოცანა 2.6. პროფესიული სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა


2021 წლის აპრილის თვეში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა დაიწყო წინასწარ შედგენილი კითხვარის საშუალებით დამსაქმებელთა გამოკითხვა.

2021 წლის ივნისის თვეში დასრულდა კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზი. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო კოლეჯის პარტნიორმა ორგანიზაციებმა (დამსაქმებლებმა), კოლეჯის კურსდამთავრებულებმა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო საქმე - კორპორაცია სს „ევექსის ჰოსპიტლები“ (ტრავმატოლოგიური ჰოსპიტალი, კავკასიის მედიცინის ცენტრი), სამედიცინო ეკოსისტემა პინეო.


პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო) - სს „გეფა“, PSP. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კბილის სატექნიკო საქმე - შპს ელიტი. დამსაქმებლებმა ყურადღება გაამახვილეს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისათვის საჭირო კომპეტენციების შესახებ. გამოიკვეთა პრიორიტეტები, რომლებიც კოლეჯმა უნდა გაითვალისწინოს კადრის მომზადების დროს. დამსაქმებლებმა შეაფასეს კოლეჯის სუსტი და ძლიერი მხარეები. დამსაქმებელთა კვლევის შედეგების ანალიზის განხილვა მოხდა ადმინისტრაციულ საბჭოზე.

დამსაქმებელთა კვლევის შედეგები გადაეცა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, რათა მოხდეს იმ პრიორიტეტების გათვალისწინება, რომელიც საჭიროა კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისათვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა პრაქტიკოსი ექთანის კურსდამთავრებულთა გამოკითხვით დადგინდა, რომ 21% არ არის დასაქმებული (აქედან თავისი პროფესიით ეძებს სამსახურს 11%).



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცევტის თანაშემწეს კურსდამთავრებულთა გამოკითხვით კი - 16% არ არის დასაქმებული და თავისი პროფესიით ეძებს სამსახურს 16%.



კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგების ანალიზის განხილვა მოხდა ადმინისტრაციულ საბჭოზე.

კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები გადაეცა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს შემდგომი რეაგირებისათვის.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ, მოხდა კოლეჯის კურსდამთავრებულებთან დაკავშირება და ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

პროფესიული სტუდენტებისათვის, კურსდამთავრებულთათვის შექმნილია Facebook ჯგუფი „დასაქმება პანაცეას სტუდენტებისთვის“, სადაც განთავსებულია ინფორმაცია შემოთავაზებული ვაკანსიების შესახებ.

მტკიცებულებები - შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზი; შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას ადმინისტრაციული საბჭოს ოქმი N 11 18.06.2021 წელი; შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას მიერ შექმნილი Facebook ჯგუფი „დასაქმება პანაცეას სტუდენტებისთვის“; შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მოხსენება.

პასუხისმგებელი პირი - სუს-ის ხელმძღვანელი.

თანაშემსრულებელი - დირექტორის მოადგილე, ხუს.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

მიზანი 3. ადამიანური რესურსის განვითარება

ამოცანა 3.1. დაწესებულებაში მართვის სისტემის განვითარება - სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ეფექტურად შესრულება

2020-2021 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შუალედური ანგარიში.

2020-2021 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

მტკიცებულებები - შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას ადმინისტრაციული საბჭოს ოქმი N 10 28.04.2021 წელი; მტკიცებულებები - შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას ადმინისტრაციული საბჭოს ოქმი N 19 10.09.2021 წელი.

პასუხისმგებელი პირი - ხუს-ის ხელმძღვანელი.

თანაშემსრულებელი - დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სპმს, ფს, იკს, სუს, სმ, ქსა, შუს.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

ამოცანა 3.2. დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება

კოლეჯში 2021 წლის 29 მარტს დაიწყო შიდა ვერიფიკაციის პროცესი და დასრულდა 2021 წლის 12 აპრილს. შერჩეული იყო ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საექთნო საქმე და ფარმაცია (სააფთიაქო).

2021 წლის 12 აპრილს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა - ფარმაცია (სააფთიაქო), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საექთნო საქმე მომუშავე ჯგუფის წევრების - ვერიფიკატორების მიერ დაიწერა დასკვნა.

2021 წლის 16 აპრილს სასწავლო პროცესის სამსახური გაეცნო დასკვნებიდან გამომდინარე შენიშვნებსა და რეკომენდაციებს.

2021 წლის 22 აპრილს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა წარმოადგინა მოხსენებითი ბარათი შენიშვნების/რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა განახორციელა განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტების განხილვა და ვალიდაციის პროცესები.

მტკიცებულებები - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ფარმაცია (სააფთიაქო) შიდა ვერიფიკაციის პროცესის დასკვნა; შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საექთნო საქმე შიდა ვერიფიკაციის პროცესის დასკვნა; შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ადმინისტრაციული საბჭოს ოქმი N 9 26.04.2021 წელი; შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ანგარიში.

პასუხისმგებელი პირი - ხუს-ის ხელმძღვანელი.

თანაშემსრულებელი - დირექტორი, სპმს, ფს.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

ამოცანა 3.3. ადამიანური რესურსის განვითარება

2021 წლის აპრილის თვეში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა დაიწყო წინასწარ შედგენილი კითხვარის საშუალებით პროფესიული მასწავლებლების და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვა.

2021 წლის ივნისის თვეში დასრულდა კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზი. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო კოლეჯის ადმინისტრაციულმა პერსონალმა და პროფესიულმა მასწავლებლებმა (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - საექთნო საქმე, ფარმაცია (სააფთიაქო), კბილის სატექნიკო საქმე).

ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვით დადგინდა, რომ სამსახურეობრივი საქმიანობის უკეთ წარმართვის მიზნით საჭიროებენ დამატებით ტრენინგს/კონსულტაციებს. პროფესიული მასწავლებლების გამოკითხვით დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (დისტანციური ფორმით) ეფექტიანად წარმართვის მიზნით, საჭიროებენ დამატებით ტრენინგს/კონსულტაციებს. ადმინისტრაციულ საბჭოზე მოხდა განხილვა კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლების კვლევის შედეგების ანალიზი.

პროფესიულ მასწავლებელთა კვლევის შედეგები გადაეცა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, რათა უზრუნველყოს პროფესიული მასწავლებლების გადამზადება, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, რომ უფრო გასაგები, მარტივი და საინტერესო გახდეს სასწავლო პროცესი დისტანციური ფორმით სწავლების დროს. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა განახორციელა ჯგუფური (დისტანციურად) და ინდივიდუალური (პირისპირ) სამუშაო შეხვედრები პროფესიულ მასწავლებლებთან.

ჩატარდა ტრენინგები:

2021 წლის 25 იანვარს და 13 მარტს პროფესიულ მასწავლებლებისათვის დისტანციურად ჩატარდა ორი ტრენინგი.

1. ტრენინგის თემა - „სწავლების მეთოდები პროფესიულ განათლებაში“ .
2. ტრენინგის თემა - შეფასების სისტემა პროფესიულ განათლებაში (მტკიცებულება, ვერიფიკაციის პროცესი).
3. 2021 წლის 21 მაისს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას პროფესიული სტუდენტური წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „საჯარო გამოსვლა, ორატორობა, პრეზენტაცია, კომუნიკაცია, უკუკავშირი“.
4. 2021 წლის 30 მაისს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას პროფესიულ სტუდენტებს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ონლაინ ტრენინგი თემაზე: „21 საუკუნის უნარები და კომპეტენციები“.
5. 2021 წლის 15- 16 ივნისს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის ჩატარდა ორდღიანი მასტერკლასი თემებით: ფსიქოლოგიის ისტორია, ქცევის ბიოლოგიური საფუძვლები, სოციალური ფსიქოლოგია, პიროვნების ფსიქოლოგია, ქცევის ფსიქოლოგია, ინტერპერსონალური კომუნიკაცია, ემოციური ინტელექტი, სტრესის მართვა.
6. 2021 წლის 16 ივნისს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას ადმინისტრაციული პერსონალისთვის გაიმართა ტრენინგი/მასტერკლასი თემაზე: მენეჯმენტი. ლიდერობა, პროფესიულ სტუდენტებთან და კოლეგებთან ურთიერთობის მართვა, კომუნიკაცია, გუნდურობა, ორგანიზაციული კულტურა.

ჩატარდა ტრენინგები კოლეჯის გარეთ:

1. ა(ა) იპ საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ხელშეწყობით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ჩატარა ტრენინგი - პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა და მისი ხარისხის უზრუნველყოფა პროფესიულ განათლებაში.

2. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა ტრენინგი - ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის მტკიცებულებათა მოპოვების საკითხებში.

მტკიცებულებები - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზი; შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ადმინისტრაციული საბჭოს ოქმი N 11 18.06.2021 წელი; შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ანგარიში; შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ, პროფესიულ მასწავლებელთათვის დისტანციური ფორმით ჩატარებული ტრენინგი ოქმი N 4. 25.01.2021 წელი; შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ, პროფესიულ მასწავლებელთათვის ჩატარებული ტრენინგის ოქმი N 5. 13.03.2021 წელი; შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მოხსენება; შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ვებგვერდი www.panacea.edu.ge.

პასუხისმგებელი პირი - დირექტორის მოადგილე, ხუს -ის ხელმძღვანელი, სუს-ის ხელმძღვანელი.

თანაშემსრულებელი - დირექტორი, სპმს.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

ამოცანა 3.4. ადამიანური რესურსის სტიმულირება

2021 წლის ივნისის თვეში დასრულდა კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზი. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო კოლეჯის პროფესიულმა სტუდენტებმა: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო საქმე (პირველი სასწავლო წელი 2020 წელს ჩარიცხული, მეორე სასწავლო წელი 2019 წელს ჩარიცხული), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო) (პირველი სასწავლო წელი 2020 წელს ჩარიცხული, მეორე სასწავლო წელი 2019 წელს ჩარიცხული),

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კბილის სატექნიკო საქმე (პირველი სასწავლო წელი 2020 წელს ჩარიცხული). პროფესიული სტუდენტების გამოკითხვით დასახელდა ოთხი წარმატებული პროფესიული მასწავლებელი (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: საექთნო საქმე, ფარმაცია (სააფთიაქო), კბილის სატექნიკო საქმე). ადმინისტრაციულ საბჭოზე მოხდა განხილვა პროფესიულ სტუდენტთა კვლევის შედეგების და განისაზღვრა პროფესიულ მასწავლებელთა წახალისების ფორმა.

მტკიცებულებები - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზი; შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ადმინისტრაციული საბჭოს ოქმი N11 18.06.2021 წელი.

პასუხისმგებელი პირი - ხუს-ის ხელმძღვანელი, სუს-ის ხელმძღვანელი.

თანაშემსრულებელი - დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სპმს, ფს.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

მიზანი 4. ფინანსური მდგრადობა

ამოცანა 4.1. ფინანსური მდგრადობის მიზნით დაფინანსების ახალი წყაროების მოძიება

2021 წლის აგვისტოს თვეში განხორციელდა კბილის სატექნიკო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი მოდულების განფასება, რომელიც აიტვირთა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

კოლეჯის მიერ შეირჩა პროფესიული მომზადების პროგრამები: შინმოვლა, ვიდეო ოპერატორი, კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა. პროფესიული გადამზადების პროგრამა: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობა. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილებით კოლეჯს მიენიჭა პროფესიული გადამზადების პროგრამის „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობა“ განხორციელების უფლება.

მტკიცებულებები - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კბილის სატექნიკო საქმის პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიში; შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ადმინისტრაციული საბჭოს ოქმი N 17 16.08.2021 წელი; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილება (MES 6 21 0000849386 02.09.2021).

პასუხისმგებელი პირი - კბილის სატექნიკო საქმის პროგრამის ხელმძღვანელი, დირექტორის მოადგილე.

თანაშემსრულებელი - დირექტორი, სპმს, ხუს, იკს, სუს.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

ამოცანა 4.2. კოლეჯის მიერ ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების განხორციელება

კოლეჯმა პანაცეამ თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა გერმანულ ორგანიზაციასთან.

ხელშეკრულების საგანია - საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი წლის პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის გერმანული ენის შესწავლის შეთავაზება და შემდგომში მათი დასაქმება ექთნის პოზიციაზე გერმანიის წამყვან კლინიკებში.

დღემდე გადამზადდა 10 მსმენელი, რომლებმაც შეისწავლეს ენა B1 დონეზე. მათ აქვთ მუდმივი კომუნიკაცია გერმანულ პარტნიორებთან.

ამჟამად მიმდინარეობს გერმანული ენის შესწავლა 12 მსმენელთან.

პროექტი სრულად ფინანსდება გერმანული მხარის მიერ.

პროექტს უკვე ჰყავს დასაქმებული კურსდამთავრებულები.

მტკიცებულებები - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის მოადგილის ანგარიში.

პასუხისმგებელი პირი - დირექტორის მოადგილე.

თანაშემსრულებელი - დირექტორი, სუს.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

ამოცანა 4.3. ფინანსური დაგეგმარების დახვეწა დანახარჯების ეფექტიანობის გაზრდა და შესაძლო რისკების ანალიზი

ფინანსური სამსახურის ანგარიში, მოიცავს ფინანსურ მონაცემებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: საექთნო საქმე; ფარმაცია (სააფთიაქო); კბილის სატექნიკო საქმე; ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა.

მტკიცებულებები - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ფინანსური სამსახურის ანგარიში (21.04.21; 06.09.21); შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ფინანსური სამსახურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

პასუხისმგებელი პირი - მთავარი ბუღალტერი.

თანაშემსრულებელი - დირექტორი.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

მიზანი 5. საზოგადოებასთან ურთიერთობა

ამოცანა 5.1. საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება - ვებ.გვერდი, სოციალური ქსელები

საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ვებგვერდი www.panacea.edu.ge და Facebook გვერდი „საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა/College panacea“ ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.

კოლეჯი პანაცეას ვებგვერდზე განთავსებულია საკონტაქტო და სტანდარტების მოთხოვნით შესაბამისი ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.), Facebook გვერდზე კოლეჯის სიახლეები და აქტივობები.

ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

სოციალური ქსელის მეშვეობით ხდება კომუნიკაცია პროფესიულ სტუდენტებთან და აპლიკანტებთან.

Facebook გვერდზე რეკლამის განთავსების მეშვეობით ხდება კოლეჯის ცნობადობის გაზრდა.

კოლეჯის ელ.ფოსტა: Panacea.2008@yahoo.com წარმოადგენს ძირითად საკომუნიკაციო წყაროს, რომლის საშუალებითაც კოლეჯი ახორციელებს კორესპონდენციების და ბმულების მიღება/გაგზავნას სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან, ფიზიკურ პირებთან და ნებისმიერ პირთან, კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან, აპლიკანტებთან.

კოლეჯში დანერგილია დოკუმენტრუნვის ელექტრონული სისტემა eFlow. აღნიშნულ პროგრამაში მუშაობა, კერძოდ კორესპონდენციის (შემოსული/გასული წერილები) წარმოება დაიწყო 2020 წლის ივლისიდან, ხოლო ბრძანებების ელექტრონული წარმოება დაინერგა 2021 წლის იანვრიდან. Eflow -ს სისტემით მიმდინარეობს შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას დირექტორის ბრძანებების გამოცემა და აღრიცხვა.

მტკიცებულებები - შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მოხსენება; შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას ვებგვერდი www.panacea.edu.ge; შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას სოციალური ქსელი Facebook გვერდი „საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა/College panacea“; შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას ელ.ფოსტა: Panacea.2008@yahoo.com; შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას ელექტრონული საქმისწამოების სისტემა.

პასუხისმგებელი პირი - სუს-ის ხელმძღვანელი, იკს-ის ხელმძღვანელი.

თანაშემსრულებელი - დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხუს, სპმს, ქსა, ფს.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

ამოცანა 5.2. საკომუნიკაციო სისტემის გამოყენება, კორპორაციული კულტურის განვითარების მიზნით

ადმინისტრაციული პერსონალისთვის შექმნილია დომენით/კორპორატიული ელ-ფოსტის მისამართები.

- 1) პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაცია ხდება ელ-ფოსტისა და facebook-ის საშუალებით (შექმნილია Facebook-ზე დახურული ჯგუფი).

2) შექმნილია Facebook- ჯგუფები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო ჯგუფების მიხედვით.

მტკიცებულებები - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მოხსენება.; ადმინისტრაციული პერსონალისთვის შექმნილი დომენით/კორპორატიული ელ.ფოსტის მისამართები - რეესტრი; პროფესიული მასწავლებლებლების ელ.ფოსტის მისამართები - რეესტრი; პროფესიული სტუდენტების ელ.ფოსტის მისამართები - რეესტრი; Facebook-ზე შექმნილი დახურული ჯგუფი; შექმნილი Facebook- ჯგუფები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო ჯგუფების მიხედვით; სქრინ შოთები: დასაქმება პანაცეას სტუდენტებისთვის, სასაუბრო ჯგუფები მასწავლებლები/ადმინისტრაცია.

პასუხისმგებელი პირი - სუს-ის ხელმძღვანელი.

თანაშემსრულებელი - დირექტორი, სპმს, ფს.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

ამოცანა 5.3. ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება და ერთობლივი საგანმანათლებლო ღონისძიებების/პროექტების განხორციელება

2021 წლის 17 მარტს შედგა შეხვედრა დარგის წარმომადგენლებთან. შეხვედრას უძღვებოდნენ გ.ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის მთავარი ექთანი, საქართველოს ექთანთა ასოციაციის პრეზიდენტი და ამავე ცენტრის ხარისხის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. შეხვედრაზე ისაუბრეს საექთნო განათლების ისტორიასა და ექთნის პროფესიის მნიშვნელობაზე.

2021 წლის 10 ივლისს საზოგადოებრივმა კოლეჯმა პანაცეამ და არასამთავრობო ორგანიზაციამ „ნაბიჯ-ნაბიჯ Step by Step“ ჩაატარა ერთობლივი ღონისძიება სახელწოდებით „ჩვენ ერთად ვართ“.

მტკიცებულებები - მტკიცებულებები -შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი N7. 15.03.2021 წელი; შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მოხსენება; შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ვებგვერდი www.panacea.edu.ge.

პასუხისმგებელი პირი - დირექტორის მოადგილე, სუს-ის ხელმძღვანელი.

თანაშემსრულებელი - დირექტორი, სპმს, ფს.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

10. 09.2021 წელი

აბრევიატურები:

- ხუს - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
- სპმს - სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;
- ფს - ფინანსური სამსახური;
- იკს - იურიდიული და კადრების სამსახური;
- სუს - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;
- სმ - სამეურნეო მენეჯერი;
- ქსა - ქსელებისა და სისტემების ადმინისტრატორი;
- შუს - შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.